ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 331

13 ნოემბერი
"---" -------- 2018 წ

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 მაისის №164 განკარგულებით დამტკიცებულ ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ლიპტოვის ქ. №8, №17-ში, თბილისის ზღვა, ბეშენოვას ქ. №7, №7ა, №9, №22, №24, №26, №28, №30-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 02 ოქტომბრის №318 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი (შეცდომა) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 მაისის №164 განკარგულებით დამტკიცებულ ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ლიპტოვის ქ. №8, №17-ში, თბილისის ზღვა, ბეშენოვას ქ. №7, №7ა, №9, №22, №24, №26, №28, №30-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 02 ოქტომბრის №318 განკარგულებაში და განკარგულების პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა", „ბ" ქვეპუნქტები და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცებული იქნას ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ლიპტოვის ქ. N8, N17-ში, (საკადასტრო კოდი: №01.12.21.001.211, №01.12.21.001.209) ბეშენოვას ქ. №7, №7ა, №24, №30-სა (საკადასტრო კოდი: №01.12.21.001.273, №01.12.21.001.217, №01.12.21.001.210, №01.12.21.001.212) და თბილისის ზღვის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.12.21.001.179, №01.12.21.001.200, №01.12.21.001.201) არსებულ მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის

ელექტრონულ გვერდზე www.urban.tbilisi.gov.ge რეგისტრირებული 01181931839-67 განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

ა)სექტორ №5-ში დაგეგმილი განაშენიანება დაზუსტდეს სასმელი წყლის რეზერვუარის ზუსტი სანიტარული დაცვითი ზონების კვლევითი სამუშაოების დასრულების შემდგომ. აღნიშული კვლევის შედეგებმა შესაძლებელია გამოიწვიოს დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანის აუცილებლობა.

ბ)სექტორ №9-სა და №10-ში წარმოდგენილი პერსპექტიული განვითარების ესკიზური ვარიანტისთვის, დეტალური პროექტის დამუშავების შემთხვევაში, შევიდეს ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმაში".

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება ვრცელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 ოქტომბრის №318 განკარგულების ძალაში შესვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**